ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/19-138

ქ. ბათუმი 2019 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით დუმბაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „მეთა“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნაზი ქამადაძის** სახით, საქართველოს მთავრობის, 2011 წლის 21 იანვრის #26 დადგენილებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **შემსყიდველის კუთვნილი ნაგავმზიდი FORD KARGO-ს** (ვინ-კოდი NMOKKXTP6KGA98098, სახელმწიფო ნომერი MH471HM) **მაღალი წნევის ტუმბოს შეძენა**.

კლასიფიკატორი – CPV34300000

№	საქონლის დასახელება	განზ-ბის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	მაღალი წნევის ტუმბო (ჰიდრავლიკური ტუმბო)	ცალი	1	**1000**	**1000**
2	გადაბმულობის ნაწილი	ცალი	1	**350**	**350**
3	გადაბმულობის დისკი	ცალი	1	**400**	**400**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1 750 (ათას შვიდას ორმოცდაათი)** ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვასთან და თანმდევი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება–ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუმეტეს 5 დღის ვადაში** განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება .

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 % ოდენობით.

7.2 თუ ვადაგადაცილება ხელშეკრულებით განსაზღვრულ, საქონლის მიწოდების ვადას 10 დღით გადააჭარბებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს „სანდასუფთავება“	**შპს „მეთა“**
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	ფ. ხალვაშის გამზ. №8
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 445394920
სს „საქართველოს ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE45TB7155836020100001
შპს „სანდასუფთავება“	**შპს „მეთა“**
დირექტორი	**დირექტორი**
დავით დუმბაძე	**ნაზი ქამადაძე**
_____	_____

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად **შპს „სანდასუფთავების“** დირექტორი **დავით დუმბაძე** და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი **დავით დევაძის** სახით, ვადასტურებთ, რომ **შპს „მეთა“-სთან** გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **ხელშეკრულება №ს/შ19-138**, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი:

დავით დუმბაძე

შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების

მართვის სამსახურის უფროსი

დავით დევაძე Davit Devadze Подписано цифровой подписью: Davit Devadze Дата: 2019.08.26 10:06:35 +03'00'